ცალკეული ხარვეზები და უზუსტობანი: ზოგიერთი ეპიზოდი წიგნში მეორდება. ნაშრომს არ აქვს კომპოზიციური მთლიანობა, არ არის დაცული განხილული თემებისა და საკითხების თანმიმდევრობა; თხრობა გადატვირთულია სხვადასხვა წიგნებიდან ამოკრებილი ვრცელი ციტატებით, რომლებსაც ხშირად არსებითი კავშირი არა აქვს ხევის პრობლემატიკასთან. და მაინც, ამ შენიშვნების მიუხედავად, გ. ქერაშვილის წიგნი „ხევი და მოხევეები" ქართული ჰუმანიტარული მეცნიერების მნიშვნელოვან შენაძენად მიმაჩნია. მას ინტერესით გაეცნობიან ეთნოლოგები და ფოლკლორისტები, ყველა, ვისთვისაც ძვირფასია საქართველოს კუთხეების ხალხური ყოფა და კულტურა, ხოლო სტუდენტ-ახალგაზრდობისთვის ის იქნება გზამკვლევი ხევის გაცნობაში და სტიმულს მისცემს მისი ისტორიული და თანამედროვე ყოფის შესაწავლად.

ხვთისო მამისიმედიშვილი

S. Rapp Jr., Sasanian World through Georgian Eyes, Caucasia and the Iranian Commonwealth in Late Antique Georgian Literature. Farnham: Ashgate Publishing. 2014. 540 pp.

უკვე ოცდაათი წელი იქნება, რაც პ. ბრაუნის პუბლიკაციების შედეგად გვიანანტიკურობა, როგორც ტექნიკური ტერმინი, მტკიცედ დამკვიდრდა ჰუმანიტარულ მეცნიერებებში. ზედიზედ გამოიცემა კვლევები გვიანანტიკური სამყაროს სხვადასხვა გეოგრაფიულ, პოლიტიკურ, იდეოლოგიურ თუ რიტორიკულ ასპექტთა შესახებ, რაც მოიცავს ტერიტორიას ბრიტანეთიდან დაწყებული, ირანის აღმოსავლეთ საზღვრებამდე.[1]

თუმცა, კავკასიოლოგიურ დისკურსში სხვაგვარი მდგომარეობაა და გვიანანტიკურობის ცნება და კონცეფცია დღემდე ტოვებს ნეოლოგიზმისა და ხელოვნურობის შთაბეჭდილებას. ეს, ერთი მხრივ, ბუნებრივიცაა – ის ინსტიტუტები და პრაქტიკები, რომლებმაც შექმნეს გვიანანტიკურობის არსი და შემოფარგლეს მისი საზღვრები, გაცილებით სუსტად აისახა, ან ზოგჯერ საერთოდ არ ასახულა ამიერკავკასიაში. როგორც გვიანანტიკურობის დასაწყისი, ისე გვიანანტიკურობიდან შუა საუკუნეებზე გარდამავალი პერიოდიც მეტად მკრთალად იკვეთება ამ რეგიონში. მიზეზი შეიძლება იყოს როგორც დიდი და ძლიერი ურბანული ცენტრების არარსებობა, რამაც, თავის მხრივ, არსებითად განსხვავებული დინამიკა შესძინა სამონასტრო ცხოვრების ფორმირებას; ან წმინდანთა კულტის ჩამოყალიბების განსხვავებული პრო-

1 P. Brown, *The World of Late Antiquity: AD 150-750*. London, 1989.

ცესი, რაც დასავლურ ქრისტიანობასთან მიმართებით ასინქრონული და დაგვიანებული აღმოჩნდა. ყველაზე მთავარი კი, განსაკუთრებით ქართულ შემთხვევაში, არის გვიანანტიკური მწერლობის, როგორც მკაფიოდ გამოკვეთილი ფენომენის, ფაქტობრივი არარსებობა.

მიუხედავად ამისა, გვიანანტიკური კავკასია, როგორც ტექნიკური ტერმინი, ნელა, მაგრამ მაინც მკვიდრდება დასავლურ ისტორიულ დისკურსში, რაც დიდწილად არმენოლოგიის დამსახურებაა. მდიდარმა ადრეულმა მწერლობამ და სომხური ნაციონალური იდენტობის ფორმირების ისტორიის თავისებურებამ ამ კონცეფციის სომხეთზე ადაპტირების საშუალებაც მოგვცა. მეხუთე, მეექვსე და მეშვიდე საუკუნეების მდიდარი ისტორიული, თეოლოგიური და კანონიკური ლიტერატურა და ამ ლიტერატურაში ასახული სომხური რელიგიური იდენტობის ფორმირება საკმაოდ დამაჯერებელი პერიოდიზაციის საშუალებას გვაძლევს. საქართველოსთან მიმართებით კი, როგორც უკვე ითქვა, საქმე უფრო რთულადაა. სტივენ რაპის 2014 წელს გამოსული მონოგრაფია, „სასანური სამყარო ქართული თვალით: კავკასია და ირანული ერთობა გვიანანტიკურ ქართულ ლიტერატურაში“,[2] ამ მხრივ ჭეშმარიტ სიახლეს წარმოადგენს და, თუ არ ვცდები, ამავე დროს, პირველი მონოგრაფიაა, რომელიც გვიანანტიკური საქართველოს, როგორც ისტორიოგრაფიული ცნების იდენტიფიკაციასა და განსაზღვრებას გვთავაზობს.

რაპის მონოგრაფიის პირველ ორ და ყველაზე დიდ ნაწილს შეადგენს გვიანანტიკური ქართული ლიტერატურის მეტად დაწვრილებითი, ბიბლიოგრაფიითა და ინტერდისციპლინური კვლევებით დახუნძლული, წყაროთმცოდნეობითი და ლინგვისტური ანალიზი, დაწყებული ჰაგიოგრაფიით, დასრულებული „ქართლის ცხოვრების“ ადრეული ტექსტებით. ეს უკანაკსნელი კორპუსი კი ავტორის ინტერესის მთავარი საგანია და სწორედ ამ სამ წიგნში, „მეფეთა ცხოვრებაში“, „ვახტანგის ცხოვრებაში“ და „ვახტანგის გამგრძელებელში“ ცდილობს ავტორი გვიანანტიკური ფენების აღმოჩენას. მეთოდოლოგიურად და არსებითად ეს მონაკვეთი ჰგავს რაპის 2003 წლის magnum opus-ს, რომელიც მთლიანად ეთმობა ადრე შუა საუკუნეების ქართულ ისტორიოგრაფიას.[3]

ამჯერად, რაპის მთავარი ამოცანაა ადრეული ქართული ისტორიული მწერლობის გვიანანტიკური, ან, გნებავთ, წინაბაგრატიონული,

2 S. Rapp Jr., *Sasanian World through Georgian Eyes, Caucasia and the Iranian Commonwealth in Late Antique Georgian Literature. Farnham: Ashgate Publishing,* 2014.

3 იხ. S. Rapp Jr., *Studies in Medieval Georgian Historiography: Early Texts and Eurasian Contexts.* Louvain, 2003.

ან ასევე სასანური კომპონენტების აღმოჩენა და დახასიათება. რაპი მეთოდურად სწავლობს ქართულ ლიტერატურულ, ეპიკურ, ონომასტიკურ და სხვა ტიპის მასალას, როგორც წყაროს სასანური სამყაროს კვლევისათვის და ცდილობს ამ ყოველივეში სასანური და ზოგადად, ზოროასტრული, ფენების გამოვლენას.

რეკონსტრუქციები

ალბათ ყველასთვის, ვისაც დასავლურ აკადემიაში მოუწია მუშაობა, დაუსვამთ კითხვა – სად გაქრა გვიანანტიკური ქართული მწერლობა? რატომ არ გვაქვს ფაქტობრივად არც ართი ორიგინალური თეოლოგიური ტექსტი, გარდა თითო-ოროლა და საეჭვო ჰომილიისა? ანდაც უფრო აქტუალური – სად არის ადრეული ქართული ისტორიოგრაფია? ნუთუ არაფერი არ არსებობდა მანამ, სანამ „ქართლის ცხოვრების“ ცალკეული წიგნები გამოჩნდებოდა მეცხრე საუკუნის დამდეგს? ნუთუ ასეთი ასინქრონია იყო სომხური და ქართული საისტორიო მწერლობის ფორმირების დინამიკაში?

ამგვარმა კითხვებმა არც თუ ცოტა სპეკულაცია გამოიწვია და წყაროთა ჯიუტი დუმილის მიღმა საბადოების მიგნების მსურველებიც გააჩინა. ჩემი კოლეგა და თავის დროზე სამეცნიერო ხელმძღვანელი, ცენტრალური ევროპის უნივერსიტეტის პროფესორი, ი. პერცელი, ამ მეთოდოლოგიას ხუმრობით „წარმოსახვით პოზიტივიზმს“ უწოდებდა და ძალიან თამამ და უმრავლესობისთვის მიუღებელ ჰიპოთეტურ არგუმენტაციას გვთავაზობდა ხოლმე. ასე მაგალითად, მისი ახსნით ქართული ლიტერატურის დიდი ნაწილი განადგურდა ან გადაიწერა მწვავე მონოენერგისტული და შემდეგ მონოთელიტური დავების დროს, როცა ქართლი, ასევე მისი აზრით, ჰერაკლე კეისრის მიერ შექმნილ მონოთელიტურ ბანაკს მიეკედლა და, განსხვავებით სხვა რეგიონებისაგან, კიდევ უფრო დიდხანს იდგა ამ პოზიციაზე. დასკვნა, ცხადია, მეტად ჰიპოთეტურია და დუმილზე უფროა დაფუძნებული, ვიდრე მონაცემებზე. თუმცა მსგავსი ძიებები ამით არ დასრულებულა. რაპიც მსგავს ჰიპოთეტურ გზას ადგას, თუმცა გაცილებით უფრო არგუმენტირებულად და რთული ლოგიკური კონსტრუქციებით.

რაპის მთავარი ამოცანა, როგორც უკვე ითქვა, გვიანანტიკური ქართული ისტორიოგრაფიული ნარატივების პროტოტიპების დადგენაა. მეორე მხრივ, მას სურს, ერთგვარი შუალედური პოზიცია დაიკავოს ტრადიციული ქართული ისტორიოგრაფიის გადამეტებულ პოზიტივიზმსა და წყაროებისადმი უპირობო ნდობასა და დასავლური მეცნიერების ჰიპერსკეპტიკურობას შორის, რომელიც ამ ფსევდოის-

ტორიოგრაფიულ თხზულებებში მხოლოდ რიტორიკულ ფანტაზიებს ხედავს.

რაპის მტკიცებით, ქართული და სომხური ისტორიოგრაფია ჩანასახშივე განვითარების სხვადასხვა გზას დაადგა. მეხუთე საუკუნის სომხური ისტორიული მწერლობა გაცხადებულად და მეთოდურად ბერძნული მოდელით სარგებლობს. ეს ჩანს როგორც ავტოქტონურ ტექსტებში, ისე ბერძნული ისტორიოგრაფიის, ევსები კესარიელის თუ სოკრატე სქოლასტიკოსის, საკმაოდ ოპერატიულ სომხურ თარგმანებსა და ადაპტაციებში. ქართულმა ისტორიული მწერლობამ კი, რაპის აზრით, თავიდანვე ირანული გეზი აიღო და მოდელად სასანური, თუმცა ასევე გამქრალი ნარატივები აირჩია, სადაც ფაქტობრივად არ არსებობს ზღვარი ეპიკურსა და ისტორიულ თხრობას შორის. ნარატივების ეპიკურობა აუცილებლობით არ გულისხმობს ფანტაზიას და არ უპირისპირდება ბერძნულ-რომაულ ისტორიოგრაფიას, როგორც ფანტაზია და ანალიტიკა. ეპიკურობისა და ისტორიულობს მსგავსი ნაზავი დამახასიათებელია ირანული სამყაროსთვის, რისი კარგი ნიმუშიც არის ადრეული სომხური ტექსტი „ეპიკური ისტორიები“, და რომლისადმიც უკიდურეს უნდობლობას ავლენდნენ შემდგომი ელინოფილი ავტორები. ამ ჟანრის პროტოტიპად რაპი ირანულ Xwadāy-Nāmag-ს მიიჩნევს.

ამიტომ რაპი სამართლიანად გვთავაზობს, რომ მეორე კითხვა, რომელიც ჩნდება და მიბმულიცაა პირველ საკითხს, არის ისტორიოგრაფიის იდეოლოგიური კუთვნილება. აქაც რაპი სომხური გამოცდილების გამოყენებას ცდილობს – ასე მაგალითად, სომხური ისტორიოგრაფიის მამად წოდებული მოსე ხორენელის რადიკალური გადათარიღება სწორედაც მისმა ლატენტურმა, თუმცა ამავე დროს, აშკარა პრობაგრატიდულმა რიტორიკამ გამოიწვია, რაც არა მხოლოდ მის დინასტიურ კუთვნილებაში აისახა, არამედ მის ზოგად მსოფლმხედველობაში, განსაკუთრებით ირანული იდენტობის ახალი რიტორიკით ჩანაცვლებაში ვლინდება. ხორენაცი, რომელიც გვარწმუნებს, რომ მეხუთე საუკუნეში წერს, სინამდვილეში მერვე საუკუნის ავტორი აღმოჩნდა. იგივე ტენდეცია, რაპის აზრით, და სავსებით სამართიანადაც, მოსალოდნელია ქართულ ისტორიულ მწერლობაშიც. ის, რომ ადრე შუა საუკუნეების ქართული ისტორიული ნარატივები არ ემსახურება გამოკვეთილად ბაგრატიონების კლანს, რაპის აზრით, უნდა ნიშნავდეს, რომ ისინი გადაკეთებული, ასე ვთქვათ გაკეთილშობილებული, ადრეული ეპიკური ნარატივებია.

აქედან რაპი აგრძელებს ჰიპოთეტურ მსჯელობას და ამ ადგილიდან უკვე თითქმის მთლიანად კავშირებით კილოზე გადადის. რაპის

დაშვებით, ბაგრატიონებმა არსებითად ახალი პოლიტიკური რიტორიკა დაამკვიდრეს, რომელიც „ცდილობდა ქართული საზოგადოების მდიდარი ირანული მემკვიდრეობისგან დაცლას.“ ამისათვის ის სრულიად ახალ ტერმინს თხზავს წინარებაგრატიონული მეფეთა ცხოვრების დასახასიათებლად და მათ „მეფეთა ამბავს“ არქმევს, რადგან, მისი აზრით, სწორედ „ამბავი“ უნდა ყოფილიყო ის ტერმინი, რომლითაც სასანური პერიოდის ეპიკურ-ისტორიული ნარატივები აღინიშნებოდა. სწორედ „მეფეთა ამბავი“ იყო ის თავდაპირველი, შესაძლოა, ზეპირსიტყვიერი კორპუსი, რომელიც ეპოსსა და ისტორიოგრაფიის მიჯნაზე იყო და რომელიც არც განარჩევდა ამ ორს. ის, რაც ამჟამად გვაქვს, ანუ „მეფეთა ცხოვრება“, „ვახტანგის ცხოვრება“ და ჯუანშერის გამგრძელებელი, არის მერვე-მეცხრე საუკუნეებში უკვე ბაგრატიონთა დამკვიდრების და ფეხმოკიდების დროს გადამუშავებული ნარატივები და სასანური ელემენტებისაგან შეძლებისდაგვარად დაცლილი სტანდარტიზებული თხზულებები. საბოლოო გადამუშავება და კანონიზაცია კი ამ ტექსტებს მეთერთმეტე საუკუნეში ლეონტი მროველის ხელით ერგოთ.

ევროცენტრული ნარატივის კრიტიკა

როგორც წიგნის სახელწოდებაც გვთავაზობს, რაპს სხვა და უფრო ზოგადი კონცეპტუალური მიზანიც დაუსახავს. თანამედროვე არმენოლოგიურ დისკურსში გათვითცნობიერებული ადამიანი შეატყობს, რომ მონოგრაფიის მანძილზე რაპი ერთგვარად ცდილობს საქართველოზე სომხური ისტორიოგრაფიის პრობლემატიკის პროექციას და ქართულ ისტორიულ დისკურსშიც არმენოლოგიისთვის დამახასიათებელი პრობლემების აღმოჩენას. ეს კი, პირველ რიგში, გახლავთ საქართველოს, ასე ვთქვათ, ცივილიზაციური კუთვნილებისა და მისი ევროპა-აზიურობის მარადიული საკითხი და მისი ისტორიოგრაფიული რეპრეზენტაცია.

ამ ტენდეციამ პირველად დასავლურ არმენოლოგიაში იჩინა თავი და მძიმე კონფლიქტშიც გადაიზარდა, ერთი მხრივ, ევროპელ და ამერიკელ და, მეორე მხრივ, სომხეთის რესპუბლიკის მეცნიერებს შორის. კონფლიქტი განსაკუთრებით გაღვივდა, როცა ჰარვარდის მესროპ-მაშტოცის კათედრის პროფესორმა, ჯეიმს რასელმა დაიწყო სტატიის სტატიაზე გამოქვეყნება სომხური კულტურის ირანული კომპონენტების შესახებ და არსებითად დაასაბუთა კიდეც, რომ არათუ პართულ და სასანურ პერიოდში, არამედ ორივე იმპერიის განადგურების შემდეგაც, სომხური კულტურის და იდენტობის უმნიშვნელოვანესი

მარკერები არსებითად ირანული იყო და სომხეთიც არსებითად ირანული ეკუმენეს განუყოფელი ნაწილი იყო.[4] კონფლიქტის მიზეზი კი, როგორც ხდება ხოლმე, აღმოჩნდა სომხური ევროპოცენტრისტული ნაციონალური ნარატივისა და დასავლური კრიტიკული მეცნიერების შეუთავსებლობა.[5]

სომხური ნაციონალური ნარატივი, რომელიც საფუძველს იღებს მეხუთე საუკუნის ისტორიკოსებისაგან, საკუთარ ისტორიას კითხულობს როგორც ძველი, ირანული წარსულისაგან მეთოდური გათავისუფლების ამბავს. ამას ემსახურება აგათანგელოსის მეხუთე საუკუნის თხზულება სომეხთა მოქცევის შესახებ, იმავეს ამტკიცებენ ლაზარ პარპეცი და მეექვსე საუკუნის მოღვაწე ეღიშე ვარდაპეტი, რომლებიც დიდი ანტიირანული შეთქმულების ფონზე აღწერენ სომხური იდენტობის, როგორც არსებითად ანტიირანულის, ფორმირებას. თავისთავად ცხადია, რომ ეს ნარატივი დომინანტური გახდა შემდგომ სომხურ ისტორიოგრაფიაში და დღემდე ასეთად რჩება და აისახა, როგორც ისტორიის წერაში, ისე მის მეთოდურ და სისტემურ გადაწერაში. ამიტომ რასელისა და მისი კოლეგების მტკიცება, რომ არათუ არ მომხდარა სომხეთის ირანული და ზოროასტრული კომპონენტებისაგან ერთბაშად დაცლა, არამედ სომხური კულტურა ყოველთვის ითავისებდა საკუთარი იდენტობის ამ ასპექტს, რაც მიუღებელი აღმოჩნდა ეთნიკური მეცნიერებისათვის და მტრულ თავდასხმად იქნა აღქმული.

როგორც რაპის წიგნის, ჩემი აზრით, ყველაზე მნიშნელოვანი ნაწილიდან, ეპილოგიდან ჩანს, რაპსაც განუზრახავს იმავე „ეშმაკის ადვოკატობა“ საქართველოსთან მიმართებით. წიგნის ბოლო რამდენიმე გვერდი ეთმობა ქართულ ნაციონალურ ნარატივში და, ზოგადად, პოლიტიკურ დისკურსში არსებული ევროპოცენტრიზმის ისტორიულ კრიტიკას. რაპი ერთგვარი მეცნიერული ქედმაღლობითაც აღნიშნავს, რომ ქართველთა დეკლარილებული პოლიტიკური ორიენტაცია, რომელიც ფორმულირებულია როგორც ამ ერის მარადიული სწრაფვა ევროპისაკენ, არსებითად იგივე ტენდენციაა, რაც ახასიათებდა ბაგრატიონების დროინდელ ქართულ მწერლობას, რაც გამოიხატება

4 მაგალითისთვის იხილეთ J. Russell, *Zoroastrianism in Armenia*. Cambridge, 1987.

5 B. L. Zekiyan, „The Iranian Oikumene and Armenia.“ *Iran and the Caucasus* 9.2 (2005): 231-256; N. Garsoïan, „Janus: the formation of the Armenian Church from the 4th to the 8th century,“ in *The Formation of a Millennial Tradition: 1700 Years of Armenian Christian Witness (301-2001) (Orientalia Christiana Analecta 271*), edited by Robert Taft, 79-95. Rome, 2004.
R.W. Thomson, „Armenian Ideology and the Persians,“ in *La Persia e Bisanzio. Atti de convegno internazionale, Roma 14-18 ottobre 2002,* 373-389. Roma. 2004.

საკუთარი კულტურის ირანული (აღმოსავლური) საფუძვლების ნიველირებასა და უარყოფაში.

სამწუხაროდ, სომხური დისკურსისაგან განსხვავებით, რაპი არ ასახელებს, თუ კონკრეტულად ვის ედავება, ან სად აღმოაჩინა შუა საუკუნეების, ან თუნდაც თანამედროვე ქართული კულტურის წიაღში ირანული საფუძვლების და ირანული ეკუმენეს წევრობის განსაკუთრებული მიუღებლობა. შესაბამისი მითითებები უბრალოდ არ არსებობს და ძალიან რთული იქნება შესადარებელი მასალის არარსებობის პირობებში, დაასაბუთო, რომ ეს ტენდენცია მართლაც არსებულა. ერთადერთი, რაც რაპს ამ დისკურსის იდენტიფიკაციის საშუალებას აძლევს, არის თანამედროვე ქართული პოლიტიკური ევროანტლანტიკური რიტორიკა, რომელსაც რაპი აცხადებს ხელოვნურად და ქართული იდენტობისათვის არაარსებითად. მაგალითად, ერთგან რაპი წერს:

> გასაკვირი არაა, რომ თანამედროვე პოლიტიკამ თავისი დაღი დაასვა ირანულ-კავკასიურ კვლევებს, ან, უფრო სწორად, გამოიწვია ამ კვლევების არარსებობა. დღეს, ისევე, როგორც უწინ, კავკასიის პრემოდერნული ისტორიის წარმოსახვა და პრეზენტაცია გადაჯაჭვულია აწმყოთი და სასურველი მომავლის ფანტაზიებით. მაგალითისთვის, ავიღოთ სააკაშვილის რეჟიმის დაუღალავი ძიება, რათა საქართველო გახდეს ევრო-ამერიკული ორგანიზაციების წევრი, მათ შორის ნატოსი და ევროკავშირის. სტრატეგიისთვის უმნიშვნელოვანესი იყო ქვეყნის ისტორიის აღრეული რეპრეზენტაცია, პოსტსაბჭოთა პროგრამა, რომელიც ხშირად იგონებს დისკრედიტირებულ ტელეოლოგიურ და „დასავლური ცივილიზაციის“ პრივილეგირებულ ნარატივებს. თქმა არ უნდა, რომ ზემოთ გამოკვლეული ანტიკური და შუა საუკუნეების კავშირები ირანულ სამყაროსთან არ შველის ამ პოლიტიკურ ამოცანას.[6]

აშკარაა, რომ რაპი ლოგიკურ შეცდომას უშვებს. ჯერ იგონებს მტერს, ახდენს მის უტრირებას და შემდეგ ამ უტრირებულ მტკიცებას ესხმის თავს, მაშინ როცა, განსხვავებით სომხური მეცნიერებისაგან, ქართულ მეცნიერებაში ირანული კომპონენტის ნიველირების საკითხი საერთოდ არ დამდგარა. გარდა ამისა, ირანულ-კავკასიური კვლევების ნაკლებობაში ქართული აკადემიის დადანაშულება აშკარად უსამართლობაა. ასევე გამიჭირდება ვთქვა, ამისთანა რა გარდამტეხი ნარატიული ძვრები აღმოაჩინა ავტორმა პოსტსაბჭოთა ქართულ ჰუმანიტარულ დისკურსში. სათანადო დამოწმების გარეშე, რაპი ავითარებს აზრს, რომ სააკაშვილის ხელისუფლების პერიოდში გაჩნდა ამ პოლიტიკური პროგრამის მეცნიერული გამყარების აუცილებლობა,

6 Rapp, *Sasanian World*, 374.

მაგრამ ვერავინ, ვისაც ამ პროცესის ფორმირებისათვის უდევნებია თვალი, იტყვის, რომ ეს შეხედულება ფაქტებს ემყარება.

აქაც, ისევე როგორც სხვაგან, რაპი ჰიპოთეზას ჰიპოთეზაზე აშენებს. „ეთნიკური“ მეცნიერების განზოგადებული და, შეიძლება ითქვას, ორიენტალისტური პერსპექტივაც, რომელსაც ის გვთავაზობს, იმავე კლიშეს იყენებს, და შემდეგ ერთგვარ პრომეთეურ მისიას კისრულობს. რამდენადაც კლიშეა პერიფერული კულტურების მიერ საკუთარი ავთენტური იდენტობის ძიება და მისი ევროპის წიაღში აღმოჩენა, იმდენადვე კლიშედ გამოიყურება ამ მარგინალური კულტურებისათვის საკუთარი დაფარული და „მიჩქმალული“ იდენტობის აღმოჩენის და მიწოდების მცდელობა. მარტივად რომ ვთქვათ, რაპის მტკიცება, რომ ქართული ნაციონალური დისკურსი გაურბის საკუთარი იდენტობის ირანულ კომპონენტს, არის მცდარი და არ დასტურდება.

დასკვნა

დასასრულს უნდა ითქვას, რომ მნიშვნელოვანია საქართველოს უნივერსიტეტების სტუდენტები, განსაკუთრებით ისტორიკოსები და ფილოლოგები, კარგად გაეცნონ ამ წიგნს. ამის მიზეზი არის არა მხოლოდ ავტორის ფართო ერუდიცია და უნარი, რომ ჰოლისტურად შეისწავლოს საკითხი ფართო გეოგრაფიულ თუ კონცეპტუალურ კონტექსტში, არამედ ქართული ისტორიული დისკურსისთვის ასე საჭირო და ნაკლული ინტერდისციპლინარულობა და მომიჯნავე დისკურსების ცოდნა, როგორც გეოგრაფიულის ისე კონცეპტუალურის. რაპი ყოველთვის ორიგინალური და თამამია და, როგორც წესი, წარმატებით ახერხებს, ერთი მხრივ ერიდოს წყაროთმცოდნეობითი პოზიტივიზმის მიზიდულობას, და მეორე მხრივ, არ დანებდეს ტექსტების „რიტორიკამდე“ დაყვანის პოსტსტრუქტურალისტურ ტენდენციას. რაპი ბევრ ქართველ ისტორიკოსზე უკეთ ფლობს მასალას და ძალიან კარგად ეხერხება დასკვნების განზოგადება და ჰიპოთეტური მსჯელობა. ამიტომ მისი ეს კვლევა ნამდვილად მნიშვნელოვანი ნაბიჯია გვიანანტიკური საქართველოს, როგორც საკვლევი ობიექტის განსაზღვრისათვის და საკვლევი საკითხის დასმისათვის, ასევე, გვიანანტიკური ქართული მწერლობის მრავალ საჭირბოროტო კითხვაზე შესაძლო პასუხების საპოვნელად.

ბევრი რამ, როგორც ითქვა, განსაკუთრებით რაპისეული რეკონსტრუქციები, სადავოა და, პირველ რიგში, არა იმის გამო, რომ არსებითად მცდარია, არამედ იმიტომ, რომ სპეკულაციურია და, რა თქმა უნდა, მის ჰიპოთეზას, განსაკუთრებით „მეფეთა ამბის“ ნაწილს,

ბევრი მეცნიერი სკეპტიციზმით, თუ არა, ირონიით შეხვდება. თუმცა რაპის სასახელოდ უნდა ითქვას, რომ ხშირად ეს მეთოდი, გნებავთ, მართლაც „წარმოსახვითი პოზიტივიზმი“, ერთადერთი საშუალებაა, გაერკვე ისეთ ბუნდოვან, შელახულ და პრობლემურ კორპუსში, როგორიც შუა საუკუნეების ქართული ისტორიოგრაფიაა და დიდი ხნის vexata quaestio-ზე პასუხის გასაცემად, თუ სად არის, ან რა არის გვიანანტიკური ქართული მწერლობა.

ნიკოლოზ ალექსიძე

BRIEF REVIEWS

Alexander Grigolia. Custom and Justice in the Caucasus: the Georgian Highlanders. AMS Press: New York. A Dissertation in Anthropology Presented to the Faculty of the Gradual School of the University of Pennsylvania in partial fulfillment of the requirements for the degree of Doctor of Philosophy. Philadelphia 1939//Tbilisi: Free and Georgian Universities Press, 2012, 249 pp.

This article reviews a work called "Custom and Justice in the Caucasus: the Georgian Highlanders" by the first-generation Georgian immigrant. In 1939 the work was submitted as a dissertation to the University of Pennsylvania, while in 1997 it was published as a book. The work covers all aspects of the vernacular lifestyle and social thought that could be important from an ethnological perspective. The author discusses all relevant primary and secondary sources available in that period and even recollects his own experience from his earlier life in Georgia.

Zurab Kiknadze

Stephen H. Rapp Jr., Sasanian World through Georgian Eyes, Caucasia and the Iranian Commonwealth in Late Antique Georgian Literature. Farnham: Ashgate, 2014, 513 pp.

Stephen H. Rapp's recent monograph provides a detailed study of early medieval Georgian historical literature. Apart from a thorough historical, literary and archaeological contextualisation, Rapp provides a rigorous textological study of this controversial corpus. Rapp's primary mission is to reconstruct hypothetically the early stages and layers of late antique Georgian historiography, which has allegedly been stripped from its original Sasanian cloth and has survived only in early medieval and indeed pro-Byzantine rewriting. Although in many ways debatable, Rapp's hypothesis is an important step towards the identification of late antique Georgian writing and a possible solution to the perennial question of where and why late antique Georgian historical writing disappeared, only to reemerge in its Bagratid guise.

Nikoloz Aleksidze

Guram Kerashvili. Khevi and the Mokheve. Tbilisi, 2013, 335 pp.

Guram Kerashvili's critically acclaimed monograph "Khevi and the Mokheve" exhaustively describes the Georgian province of Khevi: its geographical peculiarities, climate, territory and borders, roads and paths, place names, the historical past, folk traditions, archeological evidence, residential fortresses and Christian churches, and other sacred structures and fortifications. The author cites folklore material while providing an impressive account of the traditional lifestyle of Khevi from almost all perspectives, including the worship of cross icons, clan history and relationships, hospitality practices, hostility and vendetta, and the reconciliation of blood enemies.

Khvtiso Mamisimedishvili

The Chronicle of Georgian Chant: Periodical Publications 1861-1921. Davit Shughliashvili (editor-in-chief and compiler) and Magda Sologhashvili (editor). Tbilisi: National Parliamentary Library of Georgia, 2015, 629 pp.

The new collection "The Chronicle of Georgian Chant: Periodical Publications 1861-1921" is an attempt to reconstruct a 60-year episode from the history of Georgian chant. The collection, consisting of up to 600 articles, is a valuable present for researchers, performers and all interested in the history of Georgian ecclesiastical chant.

Tamar Chkheidze